სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №208
(გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საბიბლიოთეკო წიგნების შესყიდვა)

ქ. თბილისი **,, 2" დეკემბერი 2016 წელი**

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნინო თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ტაო" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ბერიაშვილის სახით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10[1]-ე მუხლის 3-ე პუნქტის "ი" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: *<u>საბიბლიოთეკო წიგნების - CPV 22113000</u> შესყიდვა* შემდეგი ოდენობით:

N	ავტორი	დასახელება	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ თანხა
1	ლეკვეიშვილი	მომწამლავი ნივთიერებები	1	19.00	19.00
2	შ. სამსონია	ჰეტეროციკლური ნაერთები	1	8.00	8.00
3	ზ. სეფერთელაძე	ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება	1	27.00	27.00
4	ზ. სეფერთელაძე დავითაია	ანთროპოლოგიური ლანდშაფტები	1	9.00	9.00
5	გეგეჭკორი	ბიოგეოგრაფია	1	35.00	35.00
6	ი. ელიავა მ. ნახუცრიშვილი	ეკოლოგიის საფუძვლები	1	26.00	26.00
7	დ. ნიკოლაიშვილი	საქართველოს ლანდშაფტების სივრცე	1	59.00	59.00
8	კ. ბილაშვილი	ზღვის ეკოლოგია	1	19.00	19.00
9	გ. სუპატაშვილი	გარემოს ქიმია	1	13.00	13.00
10	ნ. მრევლიშვილი	ისტორიული გეოლოგია - ნაწილი 2	1	23.00	23.00
11	პატარაია	ჰისტოლოგიური და ცისტოლოგიური	1	13.00	13.00

12	ი. ჩიკვაიძე	ნავთობისა და ბუნებრივი აირის ქიმია	1	17.00	17.00
13	ო. მუკბანიანი	ზოგადი და არაორგანული ქიმია	1	45.00	45.00
14	შ. ცხოვრებაშვილი	ზოგადი გეომორფოლოგია	1	27.00	27.00
15	ბ. თუთბერიძე	მინერალოგია	1	40.00	40.00
16	თ. ურუშაძე	ეკოლოგიური სამართალი	1	23.00	23.00
17	ზ. სეფერთელაძე	ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია	1	23.00	23.00
18	თ. ურუშაძე	პრაქტიკუმი ნიადაგმცოდნეობაში	1	13.00	13.00
19	კოშორიძე	ბიოქიმია	1	33.00	33.00
20	გიორგაძე, ლეკიშვილი	ზოგადი და არაორგანული ქიმია - ტ. 2	1	26.00	26.00
21	ნ. სიდამონიძე	ნახშირწყლების ქიმია	1	48.00	48.00
22	ზ. სეფერთელაძე	გეოგრაფია ეკოლოგებისათვის	1	18.00	18.00
23	ზ. სეფერთელაძე	მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფია	1	18.00	18.00
24	ზ. სეფერთელაძე	საქართველოს კასტული მღვიმეები	1	30.00	30.00
25	რუხაძე	კოლოიდური ქიმიის საფუძვლები	1	15.00	15.00
26	ნ. ნიკოლაიშვილი	გეოგრაფიის კვლევის მეთოდები	1	26.00	26.00
27	სიდამონიძე, გახოკიძე	ბიოორგანული ქიმიის მოკლე კურსი	1	19.00	19.00
28		ლაბორატორიული პრაქტიკუმი ბიოორგანულ ქიმიაში	1	9.50	9.50
29	ბ. მამულაშვილი	ბიოეთიკა	1	22.00	22.00
30	მურაშკო	ელექტროკარდიოლოგრაფია	1	22.00	22.00
31	დ. ხარკევიჩი	ფარმაკოლოგია	1	42.00	42.00
32	მ. ჭიპაშვილი	სამედიცინო გენეტიკა	1	23.00	23.00
33	რ. შენგელია	ბიოსამედიცინო ეთიკა	1	9.50	9.50
34	რ. ხეცურიანი	ადამიანის ანატომია - ტ. 1	1	57.00	57.00
35	რ. ხეცურიანი	ადამიანის ანატომია - ტ. 2	1	57.00	57.00
36	დ. ჩიკვილაძე	სამედიცინო მიკრობიოლოგია	1	44.00	44.00
37	ც. ჟორჟოლიანი	სამედიცინო ეკოლოგია	1	15.00	15.00
38	ი. კვაჭაძე	ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები	1	29.00	29.00
39	რ. ხეცურიანი	ადამიანის ნორმალური ანატომია	1	37.00	37.00
40	ჯ. კუჭუხიძე	ბოტანიკა - სამკურნალო მცენარეები	1	29.00	29.00
41	ნ. ნემსიწვერიძე	ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტი	1	9.00	9.00
42	კერესელიძე	ოკეანოლოგია	2	10.00	20.00
43	ნ. ერიაშვილი	მენეჯმენტის ფსიქოლოგია	1	25.00	25.00
	ჯ ა მ ი :				1122.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: ***1122 (ერთი ათას ას ოცდაორი) ლარს.***

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ***ამავე უნივერსიტეტის 2016 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.***

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2016 წლის 2 დეკემბრიდან 2016 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. ***შემსყიდველი უფლებამოსილია:***

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. ***შემსყიდველი ვალდებულია:***

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უფროსი რაისა ნიჟარაძე.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	**"მიმწოდებელი"**
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს „ტაო“
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61	თბილისი, ვაჟა-ფშაველას 73
ს/კ 205224700	ს/კ 405127161
მიმღების ბანკი _ სახელმწიფო ხაზინა	ს. ს. "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი _TRESGE22	ბ/კ TBCBGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _7 0904 7004	ანგ.№ GE71 TB7979236080100005
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ნინო თოფურიძე	მაია ბერიაშვილი